

ევროპის უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

სამართლის ჰუმანტირიაულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2019-2020 სასწავლო წელი



საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საერთაშორისო ურთიერთობები

- *უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:* ბაკალავრიატი
- *სწავლების ენა:* ქართული
- *საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:* აკადემიური
- *დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:* პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები (0312)

- *მისანიჭებელი კვალიფიკაცია:* საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
- *სწავლის ხანგრძლივობა:* 8 სემესტრი
- *საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:* 240 კრედიტი
- *პროგრამის ხელმძღვანელი:* თათია დოლიძე

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ა) საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი/სერტიფიკატი) და რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ევროპის უნივერსიტეტში.

ბ) ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე მიიღება აბიტურიენტი, რომელსაც უცხო ენებიდან ჩააბარებული აქვს ინგლისური, ხოლო არჩევითი საგნებიდან ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა ან სამოქალაქო განათლება (თანაბარი კოეფიციენტი).

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ)პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში , სწავლობენ / სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები. მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა

პროგრამა არის ინტერდისციპლინარული ხასიათის და გასცემს ცოდნას საერთაშორისო ეკონომიკისა და სამართლის, საერთაშორისო უსაფრთხოების, პოლიტიკური ფილოსოფიისა და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, ასევე გამოუმუშავებს სტუდენტებს რიგ პროფესიულ უნარებს, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების, აღმასრულებელ, ანალიტიკურსა და წარმომადგენლობით პოზიციებზე წარმატებული მოღვაწეობისთვის.

საგნები პროგრამაში გადანაწილებულია აღნიშნული სასწავლო მიმართულებებისათვის მინიჭებული პრიორიტის მიხედვით, რაც საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინისთვის მათი შესაბამისობისა და აუცილებლობის მიხედვით განისაზღვრა (8:7:6:4:4).

კურსების მეტი წილი საგარეო პოლიტიკის ქოლგის ქვეშ ერთიანდება და 8 სავალდებულო საგანს მოიცავს, პოლიტიკური ფილოსოფიის განხრით პროგრამაში გათვალისწინებულია 7 სავალდებულო საგანი, საერთაშორისო უსაფრთხოების მიმართულება ფარავს 6 სავალდებულო საგანს, ხოლო საერთაშორისო ეკონომიკასა და სამართალს ენიჭება თანაბარი პრიორიტეტი 4-4 სავალდებულო საგნით.

მსგავსი პრიორიტეტიზაცია ხდება მხოლოდ სავალდებულო სასწავლო კურსების შემთხვევაში, ხოლო არჩევითი საგნები ყველა ზემოაღნიშნული მიმართულებით 4-4-ია. ამას გარდა პროგრამაში გათვალისწინებულია 8 საგანი, რომლებიც პროფესიული უნარების განვითარებას ემსახურებიან და მათგან არცერთს არ აქვს სავალდებულო ხასიათი. კრედიტები იმგვარად არის გადანაწილებული, რომ სავალდებულო საგნების გარდა, მესამე აკადემიური წლიდან, სტუდენტი ირჩევს 2 კურსს და მათგან ერთი აუცილებლად არის პროფესიული უნარი.

სასწავლო მიმართულებების მიხედვით საგნების დაჯგუფება და მათი ზემოაღნიშნული პრიორიტეტიზაცია მიზნად ისახავს, ინტერდისციპლინარულ პროგრამას შესძინოს თანმიმდევრულობა და მოაქციოს ერთიანი ლოგიკური ჩარჩოს ქვეშ. წინააღმდეგ შემთხვევაში,

არსებობს გაფანტული და ზედაპირული ცოდნის გაცემის რისკი. შესაბამისად, პროგრამა არ არის მასში შემავალი 58 საგნის (+10 საუნივერსიტეტო) მექანიკური ჯამი, არამედ ქმნის ერთიან მთელს.

ინგლისური ენის ცოდნა A2 დონეზე და შემდგომი გარღმავება B2.2 დონის ჩათვლის არის სავალდებულო. მეორე უცხო ენად სტუდენტს შეუძლია აირჩიოს გაეროს დანარჩენი 5 სამუშაო ენიდან ნებისმიერი და შეისწავლოს A1 დონიდან B1.2-მდე

პროგრამის მიზანი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:

I. მოამზადოს ევროპული საგანმანათლებლო სივრცისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ გადაწყვეტილების მიმღების, აამსრულებელ, ანალიტიკურ და წარმომადგენლობით პოზიციებზე ნაყოფიერ პროფესიულ საქმიანობას.

II. უზრუნველყოს სტუდენტებში საერთაშორისო ურთიერთობების ინტერდისციპლინარული ხასიათის შემეცნება ყველა იმ ძირითადი მეცნიერების პერსპექტივიდან, რაც რელევანტურია საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსური და მრავალმხრივი პრობლემების ანალიზის, პრევენციის, მათზე რეაგირებისა და მათთან დაკავშირებული რისკების მართვისთვის.

III. ხელი შეუწყოს სტუდენტებს გამოიმუშაონ 'რბილი' უნარები, პროფესიული ეთიკა და მორალი, რაც აუცილებელია აკადემიურ, საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორში წარმატებული და ღირსეული მოღვაწეობისთვის.

სწავლის შედეგები

პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი შედეგების მიღწევას, კერძოდ:

პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი შედეგების მიღწევას, კერძოდ:

A. ცოდნა და გაცნობიერება

A1. სისტემა - სტუდენტმა იცის სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკისა და უსაფრთხოების ფუნდამენტური პრინციპები და თეორიები, შეუძლია კრიტიკულად გაიაზროს მათი სისტემური თავისებურებები ადგილობრივ, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე და იცნობს ამ დარგებში მიმდინარე უახლეს ტენდენციებს;

A2. ფუნქციონირება - სტუდენტმა იცის სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკისა და უსაფრთხოების ძირითადი ინსტიტუციები და სუბიექტები, ისტორია და მიმდინარე გამოწვევები, თითოეულ დარგში არსებული დინამიკა და მასზე გავლენის მქონე ძირითადი ფაქტორები;

B. უნარები

B1. ანალიტიკა - სტუდენტს შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში სამართლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება, ანალიზი, მათი მოგვარების გზებზე მსჯელობა;

B2. პრაქტიკულობა - სტუდენტს გააჩნია პრაქტიკული უნარების საბაზისო ერთობლიობა და შეუძლია პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნა პირდაპირ გამოიყენოს პრაქტიკაში ანალიტიკურ, წარმომადგენლობით, აღმასრულებელ თუ აკადემიურ სექტორში;

C. ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა

C1. ღირებულებები - სტუდენტი აღჭურვილია პროფესიული ეთიკის ცოდნით და საკუთარ შემდგომ განვითარებას წარმართავს საყოველთაოდ დადგენილი მორალური ნორმებისა და ისეთი ევროპული ღირებულებების შესაბამისად, როგორცაა ადამიანის უფლებები, მდგრადი განვითარების, დემოკრატია და კარგი მმართველობა;

C2. ქმედითობა - სტუდენტს გააჩნია უნარი, დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარ განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობა და პასუხისმგებლობა აიღოს მასზე; სტუდენტს გააჩნია ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა, თავად დაგეგმოს შემდგომი სწავლის პროცესი დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით.

დასაქმების სფერო

საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშავოს აკადემიურ, საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორში გადაწყვეტილების მიმღების, აღმასრულებელ, ანალიტიკურ და წარმომადგენლობით პოზიციებზე.

დასაქმების პოტენციური სექტორები შესაძლოა იყოს კვლევითი ცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაცია, საჯარო სექტორში საგარეო საქმეთა სამინისტრო ან ნებისმიერი სხვა სამინისტროსა თუ უწყების საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, აკადემია, რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი ნებისმიერი სააგენტო ან ინსტიტუტი, დიპლომატიური სამსახური და ა.შ.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამართალი

- *უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:* ბაკალავრიატი
- *სწავლების ენა:* ქართული
- *საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:* აკადემიური/ ძირითადი
- *დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:* 0421 სამართალი
- *მისანიჭებელი კვალიფიკაცია:* სამართლის ბაკალავრი
- *სწავლის ხანგრძლივობა:* 8 სემესტრი
- *საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:* 240 კრედიტი
- *პროგრამის ხელმძღვანელი:* ლევან მესხორაძე
- *პროგრამის თანახელმძღვანელი:* თათია დოლიძე

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ა) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში.

ბ) პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ისტორია/მათემატიკა.

გ) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია/მათემატიკა, ინგლისური ენა .

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ: პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

„ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან გაიარონ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გასაუბრება ან/და გამოცდა პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით¹. „დ“ პუნქტით გათვალისწინებული პირები ევროპის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმან-ათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტები.

პროგრამის სტრუქტურა

სამართლის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის:

ზოგადი სავალდებულო სასწავლო კურსები	29 კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	147 კრედიტი

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი

4 კრედიტი

სპეციალობის არჩევითი ბლოკი

38 კრედიტი

თავისუფალი კრედიტები

22 კრედიტი

შენიშვნა: რიგი სასწავლო კურსები ალტერნატიული სახით შეთავაზებულია ინგლისურ ენაზე სტუდენტის სურვილის შესაბამისად. აღნიშნული სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობაა ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა (დაშვების სხვა წინაპირობებთან ერთად, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 40 კვირას. ერთი სემესტრი შედგება 20 კვირისგან, მათ შორის 15 კვირა სასწავლო, ხოლო 5 კვირა სასესიო. კერძოდ, მე-17 და მე-18 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდი, მე-19 და მე-20 კვირა დამატებითი დასკვნითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არა ნაკლებ 5 დღე. მე-8 კვირას ტარდება შუალედური გამოცდები, გარდა იურიდიული პრაქტიკისა.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

პროგრამის მიზანი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:

- 1) მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური იურისტი, რომელსაც ექნება ეროვნული სამართლის ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სიღრმისეული ცოდნა;
- 2) მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც მიღებული ცოდნის საფუძველზე ექნება სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირების, გადაჭრის, შეფასების, მსჯელობის, დასაბუთების, სამართლებრივი დოკუმენტების წარმოების, სამართლის წყაროების (სამეცნიერო პუბლიკაციები, საკანონმდებლო ცვლილებები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მოძიების და იურისპრუდენციაში არსებული სიახლეების მიდევნების, დამუშავების და დასაბუთებული პოზიციის წერილობითი და ზეპირი ფორმით გადმოცემის უნარი;

3) ასევე, მოამზადოს პროფესიული და ეთიკური ღირებულებების მქონე, სოციალური პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი სპეციალისტი.

სწავლის შედეგები

- I. კურსდამთავრებულს ეცოდინება სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპები; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები; თანამედროვე ეროვნული სამართლის წყაროები; ნორმის სტრუქტურა, ფუნქცია და განმარტების მეთოდები; სამართლის თეორიები.
- II. კურსდამთავრებულს ეცოდინება სახელმწიფოს ცნება და ფუნქციები; სახელმწიფოს მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის ფორმები; კონსტიტუციური სამართლის ძირითადი ასპექტები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის არსი, პრინციპები და პროცესი.
- III. კურსდამთავრებულს ეცოდინება კერძო სამართლის სისტემა; სამოქალაქო სამართლის მატერიალური და პროცესუალური ასპექტები; სანივთო სამართალი; ვალდებულებითი სამართალი, მათ შორის, სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; საოჯახო და საკორპორაციო სამართალი.
- IV. კურსდამთავრებულს ეცოდინება სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპები, დანაშაულის სახეები და კატეგორიები; მატერიალური და პროცესუალური ასპექტები; სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი და სასჯელთა სახეები; სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესუალური გარანტიები.
- V. კურსდამთავრებულს ეცოდინება საერთაშორისო სამართლის წყაროები, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპები და ჩვეულებითი ნორმები; საერთაშორისო სამართლებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტები; საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების ეროვნულ დონეზე გამოყენების თავისებურებები; საერთაშორისო სასამართლოები და ტრიბუნალები, მათ შორის, წესები და პროცედურები.
- VI. კურსდამთავრებულს ექნება სამართლებრივი წერისა და კვლევის უნარები; შეძლებს რელევანტური ნორმატიული ბაზის და სამართლებრივი წყაროების მოძიებას, ასევე, სამართლებრივი დოკუმენტაციის (ხელშეკრულება, საჩივარი, შუამდგომლობა) შემუშავებასა და წარდგენას კონკრეტული ფორმალურ-შინაარსობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით.

- VII. დარგობრივი მიმართულების შესაბამისად, კურსდამთავრებული შეძლებს სამართლებრივი საკითხის აღქმას, მისი სხვადასხვა პერსპექტივით გააზრებას, ასევე, სამართლებრივი პრობლემატიკის გადაწყვეტისთვის თეზისების განვითარებას და არჩეული მიდგომის დასაბუთებას.
- VIII. კურსდამთავრებულს ექნება კარგი პრეზენტაციის უნარები და შეძლებს რელევანტური სამართლებრივი არგუმენტების მოშველიებით საკუთარი პოზიციის ეფექტიან დაცვას. ექნება ეფექტური კომუნიკაციის უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- IX. კურსდამთავრებული შეძლებს მოიძიოს სამართლის დარგში არსებული სიახლეები (საკანონმდებლო ცვლილებები, სამეცნიერო სიახლეები, პრეცედენტული სამართალი) და საუკეთესო პრაქტიკა.
- X. კურსდამთავრებული შეძლებს განახორციელოს პროფესიული საქმიანობა იურიდიული ეთიკის დაცვითა და პასუხისმგებლობით, იმოქმედოს კანონიერების, სამართლიანობის, თანასწორობის, ადამიანის ძირითადი უფლებების, დემოკრატიული და სამართლებრივი საზოგადოების უზენაესი ღირებულებების შესაბამისად.

დასაქმების სფერო

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს სახელმწიფო ან კერძო სექტორში ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და კანონი არ ითხოვს სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარებას. დასაქმების პოტენციური სექტორებია სამინისტროები, საქართველოს პარლამენტი, საერთო სასამართლოები, საკონსტიტუციო სასამართლო, სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა პროფილის კერძო კომპანიები და ორგანიზაციები, კერძო საადვოკატო ბიუროები, იურიდიული კომპანიები და ა.შ.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფსიქოლოგია

<i>უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:</i>	ბაკალავრიატი
<i>სწავლების ენა:</i>	ქართული
<i>საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:</i>	აკადემიური / ძირითადი
<i>დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:</i>	0313 ფსიქოლოგია
<i>მისანიჭებელი კვალიფიკაცია:</i>	ფსიქოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Psychology
<i>სწავლის ხანგრძლივობა:</i>	8 სემესტრი
<i>საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:</i>	240 კრედიტი
<i>პროგრამის ხელმძღვანელი:</i>	აფილირებული ასოც. პროფ. დოქტ. ლაშა ხოჯანაშვილი
<i>პროგრამის თანახელმძღვანელი:</i>	ზაია კუბლაშვილი

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ა) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვება შესაძლებელია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/ კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტები;

პროგრამის სტრუქტურა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, აქედან:

- საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები - 34 კრედიტი
- სოციალური მეცნიერებების სავალდებულო სასწავლო კურსები - 10 კრედიტი
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 115 კრედიტი, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი
- პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი
- პროგრამის თავისუფალი კრედიტები - 41 კრედიტი

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

პროგრამის მიზანი

ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია:

- (1) განუვითაროს სტუდენტს აუცილებელი ცოდნა, უნარები და ღირებულებათა სისტემა, იმისათვის, რომ მივიღოთ ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტული სპეციალისტები.
- (2) მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც ექნება თანამედროვე ცოდნა ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარების ისტორიის, ძირითადი თეორიული მიმდინარეობებისა და ემპირიული მიგნებების შესახებ.
- (3) ასევე, მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე შეძლებს გაიაზროს და გამოიყენოს, ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერებისათვის საჭირო ძირითადი კვლევის მეთოდები და კვლევის აკადემიური სტანდარტების გათვალისწინებით, შეიმუშაოს კვლევის შესაბამისი დიზაინი, მოახდინოს მონაცემთა ანალიზი და შედეგთა ინტერპრეტაცია.
- (4) განუვითაროს სტუდენტებს 21-ე საუკუნისათვის მნიშვნელოვანი უნარები როგორცაა: თანამშრომლობა, ჯგუფში მუშაობა, კრეატიულობა, კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაწყვეტა.

სწავლის შედეგები

- 1) კურსდამთავრებული შეძლებს ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, საგნისა და ამოცანების, ძირითადი ცნებების, განვითარების ეტაპებისა, ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბებას;
- 2) კურსდამთავრებული შეძლებს ფსიქოლოგიის სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის განზოგადებას, სისტემატიზაციასა და ფსიქოლოგიის ძირითადი კატეგორიების გარშემო გამთლიანებას;
- 3) კურსდამთავრებული შეძლებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების საფუძველზე მცირე მასშტაბიანი კვლევის დაგეგმვას, სამიზნე ჯგუფების შერჩევას, ინტერვიუებას, მონაცემთა დაჯგუფებას, დამუშავებას, შედეგების აღწერას, ანგარიშისა და კვლევითი პროექტის გაფორმებას;
- 4) კურსდამთავრებული შეძლებს სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, ადამიანის ქცევითი აქტივობის განმაპირობებელი, დისპოზიციური და სიტუაციური აღმძვრელების განსაზღვრასა და შეფასებას;
- 5) კურსდამთავრებული შეძლებს სათანადო დასკვნების ჩამოყალიბებას, რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე;
- 6) კურსდამთავრებულს ექნება კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარი, რთულად კონსტრუირებული პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭირო, კრიტიკული აზროვნება და კრეატიულობა.
- 7) კურსდამთავრებული შეძლებს სოციალურ გარემოში წარმოქმნილი პრობლემური სიტუაციის შეფასებას, დასკვნის ჩამოყალიბებასა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას;

კურსდამთავრებული შეძლებს პროფესიული საქმიანობის შესრულებას საჭირო პროფესიული პასუხისმგებლობით, ეთიკის ნორმებისა და სტანდარტების დაცვით.

დასაქმები სფერო

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შუძლია დაიკავოს პოზიციები, როგორც საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის განათლების, პენიტენციალური, თავდაცვის, ჯანდაცვის და ა.შ. სისტემაში, ასევე, კერძო და არასამთავრობო სექტორში, მედიაში, საერთშორისო ფონდებში და სხვ.

ფსიქოლოგიის მოთხოვნის ზრდას განაპირობებს: განათლების სფეროში მიმდინარე ახალი პროექტები, მათ შორის, მასწავლებელთა გადამზადების, ინკლუზიური განათლების, ზოგადად, განათლების ახალი თეორიების იმპლემენტაცია; გაზრდილია მოთხოვნა ჯანდაცვის ფსიქოლოგიის მიმართულებით, სადაც კურსდამთავრებულს შეუძლიათ მუშაობა კლინიკებში, ამბულატორიებში. ფსიქოლოგიის კურსდამთავრებულს შეუძლია მოღვაწეობა გააგრძელოს ყველგან, სადაც კი არსებობს საჭიროება, აღმოჩენილ იქნას ბავშვთა და მოზარდთა განვითარების შეფერხებების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციენტთა ფსიქოლოგიური დახმარება. ფსიქოლოგებზე მოთხოვნა გაიზარდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორებიცაა სკოლა და ბაღი, ასევე პროფესია მოთხოვნადია დღის ცენტრებში.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შუძლია საქმიანობა განაგრძოს კორპორატიული, საკონსულტაციო, მარკეტინგული, საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. საარჩევნო სისტემაში, პოლიტიკური პიარის, იმიჯისა და სხვა შედარებით ახალი ურთიერთობების საკვლევად და რეალობასთან მათი ჰარმონიზაციისათვის.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ინგლისური ფილოლოგია

<i>უმაღლესი განათლების საფეხური:</i>	ბაკალავრიატი
<i>სწავლების ენა:</i>	ქართული (პროგრამის მაპროფილებელი კურსების მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისურ ენაზე). იკითხება
<i>საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:</i>	აკადემიური/ძირითადი
<i>დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:</i>	0231 ენის დაუფლება
<i>მისანიჭებელი კვალიფიკაცია:</i>	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of English Philology
<i>სწავლის ხანგრძლივობა:</i>	8 სემესტრი
<i>საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:</i>	240 კრედიტი
<i>პროგრამის ხელმძღვანელი (მ.შ):</i>	დოქტ. ლაშა ჩახვაძე

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ა) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ევროპის უნივერსიტეტში.
- ბ) პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნებია: **ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური ენა), ისტორია/ლიტერატურა.**
- გ) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა.
- ინგლისური ენის მინიმალურ ზღვარს ევროპის უნივერსიტეტი ადგენს 45 %+1;

საგანმანათლებლო პროგრამაზე ბაკალავრიატში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/ კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

„ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან გაიარონ ევროპი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გასაუბრება პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით. „დ“ პუნქტით გათვალისწინებული პირები ევროპის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტები.

პროგრამის სტრუქტურა

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა	240 ECTS კრედიტი:
მათ შორის:	
ა)თავისუფალი კომპონენტის (საუნივერსიტეტო) სავალდებულო სასწავლო კურსები:	50 ECTS კრედიტი
ბ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები:	139 ECTS კრედიტი
მათ შორის საბაკალავრო ნაშრომი:	10 ECTS კრედიტი

არჩევითი სასწავლო კურსები:

- დ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები
- ე) თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები:

სულ 51 ECTS კრედიტი:

30 ECTS კრედიტი

21 ECTS კრედიტი

შენიშვნა: თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსების არჩევა ხდება უნივერსიტეტში რეალიზებული სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით.

ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 40 კვირას, ერთი სემესტრი 20 კვირა, მათ შორის 15 კვირა სასწავლო, დანარჩენი 5 კვირა სასესიო. კერძოდ, მე-17 და მე-18 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდი, მე-19 და მე-20 კვირა დასკვნითი გამოცდების გადაბარების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა. მე-8 კვირაში ტარდება შუალედური გამოცდები.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. პროგრამას დანართის სახით ახლავს კომპეტენციების ფორმირების რუკა.

პროგრამის მიზანი

პროგრამა შეესაბამება ევროპის უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს ინგლისური ფილოლოგიის სფეროში თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას, რომელიც კრიტიკულად იაზროვნებს, ექნება ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევები და კულტურათშორისი დიალოგის შესახებ ცოდნა და კონკურენტული იქნება ადგილობრივ და საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე.

1. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია, რომ კურსდამთავრებული დაეუფლოს მინიმუმ ორ უცხოურ ენას - ინგლისურ ენას C1 (Advanced - (Effective Operational Proficiency/პროფესიული ფლობის დონეზე) და მეორე უცხოურ ენას (რუსული ან ფრანგული) B2 (ზღვრულ განვითარებულ) დონეზე უცხოური ენების ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისად (The Common European Framework of Reference for Languages).
2. პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს ჰქონდეს საფუძვლიანი ცოდნა ინგლისური ფილოლოგიის სფეროში.

3. პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს განუვითაროს ტრანსფერული, ბაზისური კვლევითი და ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზისა და ლიტერატურული მსჯელობის უნარ-ჩვევები.

პროგრამის მნიშვნელობას განაპირობებს, თანამედროვე მულტიკულტურულ სამყაროში, სადაც ინგლისურ ენა გვევლინება როგორც lingua franca, ინგლისური ენის კარგად მცოდნე და ჰუმანისტური ღირებულებების მქონე სპეციალისტების აუცილებლობა.

სწავლის შედეგები

დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული)

სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს, და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს/კურსდამთავრებულს ამ ცოდნის გამოყენებით სასწავლო პროცესის, თუ მისი ცალკეული ეტაპის, დასრულების შედეგად.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს აქვს ინგლისური ფილოლოგიის სფეროს ფართო ცოდნა:

ცოდნა და გაცნობიერება

1. კურსდამთავრებული განმარტავს ენათმეცნიერებისა და ინგლისური ფილოლოგიის სფეროს ძირითად ცნებებსა და კატეგორიებს.
2. განსაზღვრავს ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურისმცოდნეობის ძირითად საკითხებს.
3. კურსდამთავრებულს ჩამოთვლის და განმარტავს საბაკალავრო ნაშრომისა და რეფერატის შექმნის ძირითად პრინციპებს; განმარტავს აკადემიური კეთილსინდისიერების არსებით საკითხებს; ესმის ციტირების, პერიფრაზირებისა და კომენტირების არსი.

უნარი

დარგობრივი უნარები

4. კურსდამთავრებული იყენებს ინგლისურ ენას C1 და მეორე უცხოურ ენა (რუსული/ფრანგული) B2 დონეზე.
5. კურსდამთავრებული აანალიზებს ინგლისური ფილოლოგიისა არსებით ცნებებს და ძირითად ლინგვისტურ მოვლენებს ინგლისურ ენაში.

6. ზეპირი და წერიტი ფორმით დასაბუთებულად მსჯელობს ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურისმცოდნეობის ძირითად საკითხებზე,
7. კურსდამთავრებულს ხელმძღვანელის მეთვალყურეობით, ქართულ ენაზე წერს საბაკალავრო ნაშრომს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და შესაბამისი სტანდარტების დაცვით;

ტრანსფერული უნარები

8. კურსდამთავრებულს შეუძლია ნათლად და თავდაჯერებულად გამოხატოს საკუთარი იდეები ზეპირმეტყველებისას და წერისას, თავდაჯერებულად მუშაობს გუნდში, აანალიზებს და სინთეზს ახდენს მოპოვებული თვისებრივი ინფორმაციის, იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

დასაქმების სფერო

”ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დაიკავოს პოზიციები საჯარო და კერძო სექტორში; იმუშაოს ნებისმიერ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება მაგისტრის აკადემიური ხარისხი და დასაქმდეს არასამთავრობო, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ბიზნეს-სტრუქტურებში, მათ შორის ტურისტულ სააგენტოებში, თარგმანის ბიუროებში, განათლების სისტემაში, ახალი ამბებისა და საინფორმაციო, სარედაქციო სამსახურებში, სარეკლამო სააგენტოებში, საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების სფეროებში, მასმედიაში, ყველგან, სადაც მოთხოვნაა ინგლისური ენის C 1 დონის მცოდნე სპეციალისტებზე და მეორე უცხო ენაზე (რუსული ან ფრანგული) B2 დონეზე.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

- **უმაღლესი განათლების საფეხური:** დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- **სწავლების ენა:** ქართული/უცხოური ენების მიმართულებისთვის საგნობრივი მეთოდის კურსები ქართულ და შესაბამის უცხოურ ენაზე
- **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური
- **მიმართულებები და ქვემიმართულებები:**

დაწყებითი საფეხურის (I-VI) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

დაწყებითი საფეხურის (I-VI) მათემატიკის მასწავლებელი

საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მათემატიკის მასწავლებელი

საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის მიმართულება:

- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) ისტორიის მასწავლებელი
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) სამოქალაქო განათლების მასწავლებელი
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) გეოგრაფიის მასწავლებელი

საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლის მიმართულება:

- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) ბიოლოგიის მასწავლებელი;
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) ფიზიკის მასწავლებელი;
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) ქიმიის მასწავლებელი;

დაწყებითი საფეხურის (1-6 კლასი) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულება ბუნებისმეტყველების მასწავლებელი

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის უცხოური ენების მასწავლებელი:

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის რუსული ენის მასწავლებელი;

პროგრამის დასრულების სერტიფიკატი:

სერტიფიკატი - ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის (I-VI) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის (I-VI) მასწავლებელი

სერტიფიკატი - ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი

სერტიფიკატი - მათემატიკის დაწყებითი საფეხურის (I-VI) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:
მათემატიკის დაწყებითი საფეხურის (I-VI) მასწავლებელი

სერტიფიკატი - მათემატიკის საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

მათემატიკის დაწყებითი საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი

სერტიფიკატი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - ისტორიის მასწავლებელი
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - სამოქალაქო განათლების მასწავლებელი
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - გეოგრაფიის მასწავლებელი

სერტიფიკატი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში - ბიოლოგიის მასწავლებელი
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში - ფიზიკის მასწავლებელი
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში - ქიმიის მასწავლებელი
- დაწყებითი საფეხურის (1-6 კლასი) ბუნებისმეტყველების მასწავლებელი

სერტიფიკატი - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი უცხოურ ენაში - ინგლისური ენის მასწავლებელი

სერტიფიკატი - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი უცხოურ ენაში - რუსული ენის მასწავლებელი

- **სწავლის ხანგრძლივობა:** 2 სემესტრი
- **პროგრამის მოცულობა:** 60 კრედიტი-ECTS (1 კრედიტი- 25 საათი)
- **პროგრამის ხელმძღვანელი:** ნინო ფეტვიაშვილი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრი/მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით. ასევე, პირი ვალდებულია ჩააბაროს ევროპის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული შიდა გამოცდა.

პროგრამის სტრუქტურა

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 40 კვირას, ერთი სემესტრი 20 კვირას.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება დასრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის სტუდენტს ესაჭიროება პროგრამის სასწავლო კურსებიდან გაიაროს:

ზოგადი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სასწავლო კურსები (ჩაშენებული სასკოლო პრაქტიკით, სავალდებულო მოდული ყველა მიმართულებისთვის) - 30 კრედიტი;

შესაბამისი მიმართულების საგნის სწავლების მეთოდის სასწავლო კურსები (ჩაშენებული პრაქტიკით) - 20 კრედიტი (მათ შორის ყველა

სავალდებულო კურსი);

სასკოლო პრაქტიკის მოდულიდან - 10 კრედიტი (შესაბამისი მიმართულებისთვის განსაზღვრული სასკოლო პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი);

პროგრამის მიზანი

მომზადოს საქართველოს განათლების მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, პროფესიული სტანდარტის, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი, რომელიც იქნება კრიტიკული აზროვნების, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევების, მოქალაქეობრივი შეგნებისა და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, ექნება შესაბამისი საგნის სწავლებისათვის საჭირო ცოდნა და უნარები, ორიენტირებული იქნება უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, იქნება კონკურენტუნარიანი, სიახლეების მიმღები და დამწერგავი პედაგოგიურ პრაქტიკაში.

სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით.
- პიროვნების, განვითარებისა და განათლების თეორიების ცოდნის ეფექტიანად გამოყენება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, მათი კულტურული მრავალფეროვნების, დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით უსაფრთხო, თავისუფალი და მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შექმნა;
- მოსწავლეთა შეფასების მეთოდების მიზნობრივი გამოყენება თითოეული მათგანის მიღწევისა და პროგრესის შესაფასებლად;
- კლასგარეშე საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- დემოკრატიული ფასეულობების, მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირება სასწავლო პროცესში პიროვნების სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდაში;
- განათლების მეცნიერებაში ახალი ცოდნის, ტენდენციების და თანამედროვე კვლევების შედეგების გამოყენება უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით; საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა და შედეგების საფუძველზე პედაგოგიური საქმიანობის სრულყოფა განათლების სისტემის საკანონმდებლო საფუძვლების გათვალისწინებით;

- მოიძიოს, შეარჩიოს, შექმნას და გამოიყენოს დამხმარე რესურსები და ICT ტექნოლოგიები მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით შედეგების გასაუმჯობესებლად;
- სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბება, პროფესიული ეთიკის წესების მნიშვნელობის გაცნობიერება. მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან ეფექტური კომუნიკაცია და საქმიანი თანამშრომლობა მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების და პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბების მიზნით.

დასაქმების სფერო

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი შესაბამის საგანში (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ინგლისური ენა, რუსული ენა);
- მოსწავლეთა და აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრები;
- პედაგოგთა გადამზადების ცენტრები;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრები;
- განათლების სფეროში მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამართალი

უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: ქართული (სტუდენტს აქვს შესაძლებლობა რამდენიმე სასწავლო კურსს დაეუფლოს ინგლისურ, ფრანგულ ან/და გერმანულ ენაზე)

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0421 სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის მაგისტრი / Master of Laws

სწავლის ხანგრძლივობა: 4 სემესტრი

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: ავილირებული ასოც. პროფ. დოქტ. თათია დოლიძე

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე დაიშვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც საერთო სამაგისტრო გამოცდისა და შპს „ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის“ მიერ დადგენილი წესით სპეციალობასა და ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული B2 (იხ. „ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი) მისაღები გამოცდის ჩაბარების შედეგად მოიპოვებს სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას. ენობრივი კომპეტენციის დადასტურება შესაძლებელია შემდეგი სერტიფიკატის წარმოდგენით:

გერმანული ენა	Goethe – Zertifikat B2
	CEFR B2
	IELTS exam – 5
	BEC exam and CELS exam – Vantage
	Cambridge exam – FCE
	Pritman ESOL International

ინგლისური ენა	TOEIC – 541
	TOEFL – 510 (paper - based) 173 (computer - based)
ფრანგული ენა	Diplome de Langue Francaise (DL) (AF)
	Diplome d'Etudes en Langue Francaise DELF/B2 (CIEP)

1. ვისაც აქვს ჩაბარებული: Zertifikat Deutsch für den Beruf, DAF, sprachdiplom kultusministerkonferenz

2. Konferenz, ZMP, Zentrale Oberstufenprüfung, Kleines/Grosses Deutsches Sprachdiplom, DSH უნივერსიტეტებისთვის თავისუფლდება გერმანულში გამოცდისაგან.

საგანმანათლებლო პროგრამაზე მაგისტრატურაში საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე სწავლის უფლება აქვთ:

- ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში , სწავლობენ / სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში ;
- გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.
- დ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს ამ კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- ე) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე დასაშვებია იმ პირისათვის, რომელმაც გადალახა შესაბამისი ზღვარი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტებს;

*მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

პროგრამის სტრუქტურა

სამართლის სამაგისტრო სასწავლო პროგრამა შედგება – სავალდებულო თეორიული, კვლევით-მეთოდოლოგიური, პრაქტიკული კომპონენტებისაგან და არჩევითი სასწავლო კურსებისგან.

პროგრამის წარმატებით დაძლევისათვის სავალდებულოა სტუდენტმა დააგროვოს **120 კრედიტი**, მათ შორის:

30 ECTS კრედიტი ეთმობა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მათ შორის იურიდიულ კლინიკა **15 კრედიტი**, სამოქალაქო განათლების პრაქტიკული კურსი (Street Law) **10 კრედიტი** .

45 ECTS კრედიტი განკუთვნილია სამართლის კვლევით-მეთოდოლოგიური კომპონენტისათვის, მათ შორის **5 კრედიტი** სამართლებრივი კვლევის მეთოდოლოგია და წერის სტანდარტები, **8 კრედიტი** ინტერდისციპლინური კვლევითი ნაშრომი - *ესე*, **25 კრედიტი** სამაგისტრო ნაშრომი.

40 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს თავისუფლად შეუძლია, სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსებიდან თავისი ინტერესების შესაბამისი სასწავლო კურსი.

შენიშვნა 1: საგნებისა და კლინიკების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. შესაძლოა ცალკეული კომპონენტები სტუდენტმა გაიაროს სხვა (ანუ არარეკომენდებულ) სემესტრში წინაპირობების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაცვით.

შენიშვნა 2: სასწავლო კურსების ფარგლებში რიგი სასწავლო კურსები შეთავაზებულია ინგლისურ, გერმანულ ან/და ფრანგულ ენაზე, სტუდენტის სურვილის შესაბამისად.

შენიშვნა 3: სამაგისტრო ნაშრომზე დარეგისტრირება ხდება მეოთხე სემესტრის პირველ სასწავლო კვირაში.

ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 40 კვირას, ერთი სემესტრი 20 კვირა, მათ შორის 15 კვირა სასწავლო, დანარჩენი 5 კვირა სასესიო. კერძოდ, მე-17 და მე-18 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდი, მე-19 და მე-20 კვირა დასკვნითი გამოცდების გადაბარების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

პროგრამის მიზანი

1. მოამზადოს კადრები რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლის სფეროში, ასევე კადრები რომელთაც ეცოდინებათ ეროვნული და უცხოური სამართლის სისტემების ძირითადი თავისებურებები;
2. მოამზადოს კადრები რომელთაც ექნებათ იურისტისათვის აუცილებელი კრიტიკული, ანალიტიკური აზროვნება, პრაქტიკული უნარები და შეეძლებათ დამოუკიდებლად წარმართონ კვლევითი/პრაქტიკული საქმიანობა;
3. ხელი შეუწყოს ქვეყანაში ევროპული სამართლებრივი ფასეულობებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრებას.

სწავლის შედეგები

ცოდნა/გაცნობიერება

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს

I შედეგი: აქვს კონკრეტული სამართლის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა. ასევე, კომპლექსური სამართლებრივი პრობლემების საკუთარი ხედვა. იცის სამართლებრივი კვლევის მეთოდოლოგია და სამეცნიერო ნაშრომის შესრულების სტანდარტები. იცნობს ცალკეული სამართლებრივი სისტემების (გერმანული, ფრანგული, ინგლისურ-ამერიკული) თავისებურებებს. ფლობს იურიდიული რიტორიკისა და მჭერმეტყველების ხელოვნებას.

უნარები:

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს

II შედეგი: შეუძლია სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და საკუთარი ხედვის შესაბამისად ამ პრობლემების გადასაჭრელად ახლებური გზების შემოთავაზება;

III შედეგი: შეუძლია სამართლებრივი კვლევის განხორციელება

IV შედეგი: შეუძლია სამართლის სწავლება და სამართლის დაქრგის აქტუალური საკითხების სასწავლო მასალად ფორმირება;

V შედეგი: აქვს საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზისა და ამ ცვლილებების შესაძლო შედეგების პროგნოზირების უნარი

VI შედეგი: შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენებზე გადასცეს საკუთარი, დასაბუთებული, სამართლებრივი დასკვნები და შესაბამისი არგუმენტები, ინოვაციური საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით, აწარმოებს ეფექტურ კომუნიკაციას როგორც პროფესიულ, ისე არაიურიდიულ წრეებთან.

ავტონომიურობა/პასუხისმგებლობა

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული

VII შედეგი: სამეცნიერო, პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების, ევროპული ფასეულობების შესაბამისად, ასევე სამეცნიერო საქმიანობისას განუხრელად იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. საჭიროების შემთხვევაში თავისი წვლილი შეაქვს ფასეულობების ფორმირებაში;

VIII შედეგი: სწრაფად ახდენს ადაპტაციას პროფესიულ გარემოში. შეუძლია განახორციელოს პრაქტიკული/კვლევითი საქმიანობა დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. აქვს სწრაფი პროფესიული ადაპტაციის უნარი. მათ შორის უნარი გაიფართოოს ცოდნა სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, ნორმატიული ბაზის, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით.

დასაქმების სფერო

სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო განისაზღვრება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის დასრულების შესაბამისად - სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს ამზადებს მოსამართლის, პროკურორის ან/და სხვა იურიდიულ პროფესიებში „შესასვლელად“. სამართლის მაგისტრისათვის ცალკეულ პროფესიაში „შესვლის“ წინაპირობაა სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდა.

